სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების საყურადღებოდ!

კონკურსი ფულდას უნივერსიტეტში სწავლის შესაძლებლობის შესახებ

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფულდას გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტთან (გერმანია) თანამშრომლობის ფარგლებში **სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამის ერთ სტუდენტს სთავაზობს შესაძლებლობას, ისწავლოს ფულდას უნივერსიტეტში, კერძოდ სოციალური მუშაობის საერთაშორისო კურსის ფარგლებში**. კურსის ხანგრძლივობაა 2018 წლის 1 სექტემბრიდან 21 დეკემბრამდე (კურსის შესახებ ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://www.hs-fulda.de/sozialwesen/internationales/international-course-in-social-work/).

ფულდას უნივერსიტეტი შერჩეულ ქართველ სტუდენტს დააჯილდოებს სტიპენდიით, რომელიც ფარავს სწავლისა და ცხოვრების თითქმის სრულ ღირებულებას (1950 ევრო), ხოლო შერჩეულ სტუდენტს თავად მოუწევს 300 ევროს გადახდა პლუს სამგზავრო ბილეთის შეძენა.

კონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობა ეძლევათ სოციალური მუშაობის სპეციალობის სტუდენტებს, რომლებიც ამჟამად იმყოფებიან მე-4, მე-5 ან მე-6 სემესტრში.

გამარჯვებულ სტუდენტს გამოავლენს კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სოციალური მუშაობის სპეციალობის ლექტორები. კომისიას ხელმღვანელობს დეპარტამენტის თავმჯდომარე, ბატონი იაგო კაჭკაჭიშვილი.

კონკურსი მოიცავს 2 ეტაპს: ეტაპი პირველი - საბუთების წარდგენა; ეტაპი მეორე - გასაუბრება.

პირველ ეტაპზე დაინტერესებულმა სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. GPA-ს მონაცემები
2. რეკომენდაციის წერილი ამჟამინდელი პრაქტიკის ხელმძღვანელისგან
3. სოციალური მუშაობის მიმართულების მინიმუმ 2 ლექტორის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია, რომლებიც რეკომენდაციას უწევენ სტუდენტს (რეკომენდაციის წერილი საჭირო არ არის)
4. ინგლისური ენის დამადასტურებელი სერთიფიკატი (მინიმუმ B1 დონე)
5. რეზიუმე (Curriculum Vitae)
6. სტუდენტის საკონტაქტო ინფორმაცია, ტელეფონისა და ელ. ფოსტის მითითებით

ამასთან, გაცნობებთ, რომ ინგლისური ენის სერტიფიკატის არ მქონე სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცემათ, რომ 12-15 მაისის შუალედში საგამოცდო ცენტრში ჩააბარონ ინგლისური ენის ცოდნის B1 დონის შესაბამისი გამოცდა.

საბუთების ჩაბარების ბოლო ვადაა ამა წლის **11 მაისი, პარასკევი, 18:00 საათამდე**. საბუთები მიიღება მე-4 კორპუსში, 302 აუდიტორიაში (თამარ ლაღიძესთან ან თამარ გოგორიშვილთან).

კომისია განიხილავს დაინტერესებული პირთა საბუთებს და გასაუბრებას დანიშნავს მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან. პირველი ეტაპის შედეგად შერჩეულ სტუდენტებს ეცნობებათ სატელეფონი ზარისა ან/და ელ. ფოსტის მეშვეობით გასაუბრების თარიღის თაობაზე.

კითხვების შემთხვევაში შეგიძლიათ, მიმართოთ იაგო კაჭკაჭიშვილს შემდეგ ელ. ფოსტაზე: iagok@yahoo.com ან აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში დაურეკეთ სალომე ნამიჭეიშვილს შემდეგ ტელეფონზე: 5 99 711 719

გისურვებთ წარმატებას!